# ხელშეკრულება N 1

5 იანვარი 2015 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ, ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის, (შემდგომში „შემსყიდველი") პაატა პატარიშვილის და მეორე მხრივ შ.პ.ს „ლიდერ" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გოჩა ზირაქაშვილის სახით წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველი სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში ეტაპობრივად შეისყიდის საბავშვო ჟურნალს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისათვის.

2. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით.

2.2 საქონლის მიწოდება მოხდება შემსყიდველის მისამართზე ქ.ყვარელი კუდიგორის ქ #2 .

2.3 შემსყიდველი ვალდებულია ანაზღაუროს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით.

2.4 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2015 წლის 5 იანვრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

3. შესყიდვის ობიექტის მიღება- ჩაბარების წესი

3.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად ფაქტიურად მიწოდებული საქონლის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების გაფორმების შემდეგ.

3.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ცალკეული) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

4.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას განახორციელებს მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ– ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან ერთი თვის განმავლობაში.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

5. ფასები

5.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1600 (ათასექვსასი) ლარს.

5.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

5.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არცერთი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ ხელშეკრულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

6.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში,შემსყიდველი წერილობითი

წერილობით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

11. დავური საკითხების გადაწყვეტა

11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებს დავური საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ოქტომბრამდე.

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ყვარლის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება | შ.პ.ს. „ლიკო+" |
| ტელ: (352) 22-02-41 | 551 96 38 39 |
| მისამართი: ქ. ყვარელი ჭავჭავაძის ქ # 2 | მისამართი: ქ.თბილისი მირზა გელოვანის #3 |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| ს.ს. „ლიბერთი" ბანკის ყვარლის ფილიალი | ს.ს. „საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი – LBRTGE22 | ბანკის კოდი – BAGAGE22 |
| ა/ნ – GE88LB0120116402542000 | ა/ნ GE06BG0000000136628500 |
| საიდენტიფიკაციო კოდი - 241579957 | საიდენტიფიკაციო კოდი - 205279893 |
| გაერთიანების დირექტორი | |
| /მარტა პაპატიშვილი / | /გიორგი ზირაქაშვილი/ |